# ალბინოსი

იცი, ვის ეძახიან ალბინოსს? წაიკითხე ტექსტი და გაეცანი საინტერესო ინფორმაციას ალბინოსების შესახებ.

„ალბუსი“ ლათინური სიტყვაა. იგი თეთრს ნიშნავს. სწორედ აქედან მოდის სიტყვა ალბინოსი. ასე უწოდებენ ადამიანს, რომელსაც აქვს ძალიან თეთრი კანი და თმა. ასევე – წარბებიც და წამწამებიც.

რა იწვევს ალბინიზმს? ამის მიზეზი ნივთიერება მელანინის უქონლობაა. მელანინს შეიცავს კანი, თმა, თვალის ფერადი გარსი. სწორედ ეს ნივთიერება აძლევს მათ ფერს. თუ ადამიანს მელანინი არ აქვს, მისი აღდგენა შეუძლებელია.

გარდა ადამიანისა, ალბინოსად შეიძლება დაიბადოს ნებისმიერი სხვა არსება. მაგალითად: სპილო, ნიანგი, გორილა, ირემი, ბეღურა და სხვა. თუმცა ეს ხშირად არ ხდება. თურმე 10 000 ძუძუმწოვარი ცხოველიდან მხოლოდ ერთია ალბინოსი. ალბინოს ცხოველს მარტო ბეწვი კი არა, სხეულის ყველა ნაწილი თეთრი აქვს. ეს იქნება კუდი, რქა თუ ჩლიქი. ასეთ ცხოველზე ზრუნვა მხოლოდ ეროვნულ პარკებში არის შესაძლებელი. ველურ ბუნებაში ის დიდხანს ვერ ცოცხლობს. ირკვევა, რომ ხშირად ალბინოს ნაშიერს დედამისი არც კი უვლის. მას სხვა ცხოველებიც მტრობენ. ამიტომ იგი მალე იღუპება.

მელანინს კიდევ ერთი **ფუნქცია** აქვს. ის მზის სხივებისგან იცავს კანს. მელანინის უქონლობის გამო მზეზე კანი ადვილად იწვება. ამიტომაც ალბინოსი მზეს უნდა მოერიდოს. ზოოპარკის ბინადარ ალბინოსს კი მზისგან დამცავ მალამოს უსვამენ.

როგორც ცნობილია, ალბინოსი ღამით უკეთ ხედავს. ამიტომ ურჩევენ ადამიანს, რომ დღისით მუქი სათვალე **იხმაროს**. ალბინოს ცხოველს კი ბნელ ვოლიერში ამყოფებენ.

რა გაიგე ახალი ამ ტექსტიდან?

**კომპონენტი:** *პრობლემის გადაჭრა*, **დონე:** 3.2

# ტექსტის გაგება

**ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.**

**1 რა არის ალბინიზმის გამომწვევი მიზეზი?**

ა) მზეზე დიდხანს ყოფნა.

ბ) ნივთიერება მელანინის სიჭარბე.

გ) ნივთიერება მელანინის უქონლობა.

**2 ალბინოს ადამიანს კანი რომ არ დაეწვას, ამისათვის:**

ა) უნდა ატაროს მზის სათვალე.

ბ) უნდა იზრუნოს მელანინის აღდგენაზე.

გ) უნდა მოერიდოს მზის სხივებს.

**3 ველურ ბუნებაში პატარა ალბინოსისთვის <u>ყველაზე დიდი</u> პრობლემა არის ის, რომ:**

ა) დღისით საკმაოდ ცუდად ხედავს.

ბ) მას თეთრი ბეწვი აქვს.

გ) მშობლები მას უყურადღებოდ ტოვებენ.

**4 ტექსტის მიხედვით, სად არის შესაძლებელი ალბინოს ცხოველებზე უკეთ ზრუნვა?**

ა) ეროვნულ პარკებში.

ბ) ველურ გარემოში.

გ) ნებისმიერ გარემოში.

**5 სპეციალური მალამოს წასმით ალბინოს ცხოველს:**

ა) ადამიანი ადვილად იჩვევს.

ბ) ადამიანი მზისაგან იცავს.

გ) მელანინის რაოდენობა ემატება.

**6 რატომ ამყოფებენ ალბინოს ცხოველს ბნელ ვოლიერში?**

ა) სიბნელეში იგი ბევრად უკეთ ხედავს.

ბ) სიბნელეში იგი უფრო მშვიდად არის.

გ) სიბნელეში ცხოველები მას არ მტრობენ.

**7 რის შესახებ <u>*არ არის*</u> საუბარი ტექსტში?**

ა) რა საერთო პრობლემები აწუხებთ ალბინოს ადამიანებსა და ცხოველებს.

ბ) როგორი პირობები უნდა ჰქონდეთ ალბინოს ცხოველებს ეროვნულ პარკში.

გ) როგორ უნდა მოგვარდეს ველურ ბუნებაში ალბინოსების დაცვის პრობლემა.

## ლექსიკა

**1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.**

1. მელანინს აქვს კიდევ ერთი **ფუნქცია** – კანის დაცვა მზისაგან.

   ა) დანიშნულება. ბ) თვისება. გ) უნარი.

2. ალბინოსმა მზის სათვალე უნდა **იხმაროს**.

   ა) გამოიყენოს. ბ) იყიდოს. გ) შეარჩიოს.

**2 ხაზებით შეაერთე მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები).**

| | |
|---|---|
| 1. მალამო | საფარი |
| 2. გარსი | მცხოვრები |
| 3. ბინადარი | საცხი |

**3 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?**

ა) ზრუნვს – უვლის. ბ) იცავს – იფარავს. გ) ცოცხლობს – იღუპება.

## გრამატიკა

**1 სწორად დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები.**

1. ალბინოს ცხოველებზე *(ეროვნული)* ---------- პარკებში ზრუნავენ.
2. *(ალბინოსი)* ---------- თეთრი ფერის კანი აქვს.

**2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვა.**

1. მელანინი მზის ---------- იცავს ადამიანის კანს. ***(სხივებისგან / სხივებიდან)***
2. 10 000 ძუძუმწოვარი ---------- მხოლოდ ერთია ალბინოსი.
   ***(ცხოველიდან / ცხოველისაგან)***

## გრამატიკა

**3** **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.**

| | [X] *მხოლოთ.* | [ ] *მხოლოდ.* |
|---|---|---|
| 1. | [ ] ბევრი ალბინოსები. | [ ] ბევრი ალბინოსი. |
| 2. | [ ] ალბინოსათ. | [ ] ალბინოსად. |
| 3. | [ ] დიდ ხანს. | [ ] დიდხანს. |
| 4. | [ ] აქედან. | [ ] აქიდან. |

## წერა

**1** **ტექსტის მიხედვით შეავსე სქემა.**

| | ალბინოსების პრობლემები | პრობლემების გადაჭრის გზები |
|---|---|---|
| *ალბინოსი ადამიანი* | ---------- <br> ---------- | ---------- <br> ---------- |
| *ალბინოსი ცხოველი* | ---------- <br> ---------- | ---------- <br> ---------- |

**2** **წარმოიდგინე, რომ მეგობრის კატამ გააჩინა ალბინოსი კნუტი. მისწერე მეგობარს წერილი და აუხსენი, რა უნდა გაითვალისწინოს ასეთი კნუტის მოვლისას.**

---

---

---

---

---

---

---